საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 6 20 0000561160

03/07/2020

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსების „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ და „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N288 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ გამარჯვებული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული კონკურსის/ების საკონკურსო კომისიის/ების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N212 ბრძანების საფუძველზე და ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N288 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული საპროექტო/საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის N307685 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2020 წლის 30 ივნისის N2 სხდომის ოქმისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

მინისტრის მოადგილის 2020 წლის 02 ივლისის N552900 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსების „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ და „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N288 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ გამარჯვებული პროექტების ნუსხა, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივლისისა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი